

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის 2023 წლის ანგარიში

სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს დებულების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს სააგენტოს მიერ, 2023 წლის განმავლობაში, განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვა.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, სააგენტო შეიმუშავებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის პროექტებს, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ახორციელებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასა და ინსპექტირებას, ასევე, რადიოაქტიური ნარჩენების მართვასა და ბირთვულ ან/და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას.

კანონმდებლობის შემუშავების სფეროში სააგენტოს საქმიანობა

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს განმსაზღვრელი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წელს იქნა მიღებული. ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი საჭიროებებისა და მოქმედი რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2023 წლის 16 ივნისს. კანონის მოსალოდნელი ზოგადი შედეგი მარეგულირებელი რეჟიმის გაუმჯობესებაა, მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით, რაც აუცილებელია ადამიანისა და გარემოს დასაცავად მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

როგორც ცნობილია, მაიონებელი გამოსხივების წყაროები (როგორც რადიოაქტიური წყარო, ისე გენერატორი) აქტიურად გამოიყენება განათლებაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, მედიცინაში, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სფეროში და სხვა მიმართულებით და მაშასადამე, ადამიანთა ყოველდღიურობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მიზეზი, ამგვარი გამოსხივებისათვის დამახასიათებელი სარგებელია - ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალი. ტექნოლოგიური პროგრესისა და წარმოშობილი საჭიროებების პარალელურად, იზრდება მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენების მასშტაბიცა და რაოდენობაც.

მიუხედავად დამახასიათებელი ბენეფიტებისა, მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენება დაკავშირებულია რისკებთან, გააჩნია რა პოტენციალი, მავნე ზემოქმედება მოახდინოს ადამიანსა და გარემოზე. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით წყაროებთან საქმიანობის რეგულირებას. მაიონებელი გამოსხივების წყაროებით გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა უნდა გადაწონოს მავნე ზემოქმედების რისკები - აღნიშნული პრინციპის უზრუნველყოფაა

რეგულირების, მარეგულირებელი მოთხოვნების დადგენის, შესრულების კონტროლისა და იძულებითი ღონისძიებების იმპლემენტაციის მიზანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტომ შეიმუშავა ტექნიკური რეგლამენტის – „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ ცვლილების პროექტი ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სააგენტომ შეიმუშავა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ბირთვული და რადიოაქტიური მასალების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესი“.

სააგენტოს ავტორიზაციის სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას.


2023 წელს გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 68 ლიცენზია, უარი ეთქვა ერთ ორგანიზაციას, გაუქმდა 21 ლიცენზია.

ლიცენზიის მფლობელ 165 ორგანიზაციას მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, რაც გულისხმობს სააგენტოს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას არსებული სიტუაციის რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შესაბამისი დასკვნის მომზადებას. საქმიანობის გაფართოებაზე უარი ეთქვა ერთ ორგანიზაციას.

ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 58 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე, ტრანზიტსა და შექმენა-გადაცემაზე.


შენიშვნა: მონაცემები დამუშავებულია მიმდინარე წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით.

ავტორიზაციის სტატისტიკური მონაცემები (2019-2023 წწ.)



მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ყოველწლიურად, პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე, სააგენტოს წარუდგინოს ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ. 834 ლიცენზიის მფლობელმა ორგანიზაციამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, ხოლო 97-მა ორგანიზაციამ ანგარიში არ წარმოადგინა კანონმდებლობით დადგენილი ვადაში.

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში (2018-2022)



სააგენტოს ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის ანგარიში

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზებული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებისას სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამოვლენის მიზნით, 2023 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამით დაგეგმილი 120 ინსპექტირებიდან განხორციელდა 108. ინსპექტირება გაუქმდა 12 ორგანიზაციაში, საქმიანობის შეჩერებისა და ლიცენზიის გაუქმების მიზეზით).

საერთო ჯამში, ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურმა განახორციელა 114 ინსპექტირება: 108 გეგმური და 6 არაგეგმური, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პროფილის მქონე ორგანიზაციებში. ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა 20 ორგანიზაციაში, რაზეც შედგენილი იქნა 34 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. გამოწერილი ოქმების ჯამურმა თანხამ შეადგინა 17 700 ლარი.

გამოვლენილი სამართალდარღვევები განაწილდა შემდეგნაირად:

59² მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოიწერა 7 ოქმი (რადიაციულ უსაფრთხოების საკითხებში გადამზადების ვალდებულების დარღვევა);

59² მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე 12 ოქმი (დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა);


59² მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გამოიწერა 9 ოქმი (მონიტორინგის ხელსაწყოების გამოყენების ვალდებულების დარღვევა);

59² მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოიწერა 4 ოქმი (რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა და პაციენტის დაუსაბუთებელი დასხივება);

59² მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე გამოიწერა 2 ოქმი (საქმიანობის გაფართოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების დარღვევა).

გამოვლენილი დარღვევები ძირითადად ეხებოდა: ლიცენზიის მფლობელის მიერ ბირთვული და რადიაციულ საქმიანობისას დოკუმენტაციის წარმოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას, ასევე რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის გადამზადების კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევასა და ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეტყობინების მარეგულირებელი ორგანოსათვის წარდგენის ვალდებულების დარღვევას.

ინსპექტირებისა და გამოვლენილი დარღვევების დინამიკა 2019-2023 წლების მიხედვით



ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდა 6 რეაგირება, მათ შორის:

- სარფის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე განხორციელდა რეაგირება რადიოლოგიურ ინციდენტზე;
- სოფ. ტანძიაში, მოსახლეობის მოთხოვნით, განხორციელდა სოფლის ტერიტორიაზე რადიაციული ფონის შესწავლა;
- მუხრან მაჭავარიანის N63-ში (ვაშლიჯვარი, ქ. თბილისი) მდებარე კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა სამშენებლო მასალის რადიოლოგიური მონიტორინგი;
- ქ. ფოთში განხორციელდა რეაგირება რადიოაქტიური ნივთიერების არაღებულარ მიმოქცევის ფაქტზე;
- ქ. ფოთის საზღვაო პორტზე განხორციელდა რეაგირება საზღვარზე დამონტაჟებული რადიაციული პორტალური მონიტორის განგაშზე;
- ქ. ვალეს საკონტროლო გამშვებ პუნქტზე განხორციელდა რეაგირება საზღვარზე დამონტაჟებული რადიაციული პორტალური მონიტორის განგაშზე.

2023 წლის განმავლობაში, ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტებმა განახორციელეს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული სერვისები - რადიომეტრიული გაზომვები, კერძოდ:

- საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება - 4.
- მოქ. ნ. ბარქაიას მოთხოვნის საფუძველზე, შემოწმდა საცხოვრებელ ფართში (30 კვ.მ.) დაგებული გრანიტის ფილების დოზიმეტრიული გაზომვები.

- მოქალაქე დ. ქისტაურის მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა სატრანსპორტო საშუალების (კონტეინერის) დოზიმეტრული გაზომვები.

ბირთვული და სხვა რადიოაქტიური წყაროების საძიებო ღონისძიება

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში განხორციელდა ღონისძიება, რომელიც ეხებოდა ქვეყნის მასშტაბით უპატრონო რადიოაქტიური წყაროების მოძიებას, ამოღებას, ტრანსპორტირებასა და უსაფრთხო განთავსებას რადიოაქტიური ნარჩენების საცავში.

აღნიშნული აქტივობა მოიცავდა რამდენიმე ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა ადმინისტრაციული ძიება, რომლის ფარგლებშიც, სააგენტოს არქივისა და არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იდენტიფიცირდა სამიზნე ორგანიზაციები.

მომდევნო ეტაპზე, აღნიშნულს ორგანიზაციებს გადაეგზავნათ წერილი რადიოაქტიური ნივთიერებების შესაძლო ფლობის, გამოყენების ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოწოდების თხოვნით. სულ გაიგზავნა 40 წერილი, როგორც სამინისტროებში, ასევე, კერძო ორგანიზაციებში. აღსანიშნავია, რომ სამინისტროებში გაგზავნილი წერილები, სამინისტროების მხრიდან დამატებით გადაეგზავნათ მათ სისტემაში შემავალ უწყებებს, რის შედეგადაც სააგენტოს კორესპონდენცია მიიღო 100-ზე მეტმა ორგანიზაციამ. შედეგად, პასუხად მიღებული იქნა 110 წერილი.

ამავე პერიოდში, არსებული მონაცემების დაზუსტებისა და ახალი ინფორმაციის მოძიების მიზნით, განხორციელდა ინტერვიუები სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან/პერსონალთან, გამოთხოვილი იქნა დამატებითი ინფორმაცია ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ. ასევე, განხორციელდა კვლევა სოციალური მედიის პლატფორმების დახმარებითაც.

საბოლოოდ, განისაზღვრა შესამოწმებელი ორგანიზაციების სია. სამუშაო ჯგუფმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეაფასა თითოეული ობიექტი ინდივიდუალურად ფიზიკური ძიების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით და შეიმუშავა შესაბამისი გეგმა თითოეული მათგანისთვის.

მიღებული ინფორმაციის დამუშავების, სამიზნე ორგანიზაციების გამოვლენისა და შემდგომ თითოეულ ობიექტის ინდივიდუალური საძიებო ღონისძიების გეგმების შედგენის საფუძველზე, განხორციელდა ფიზიკური ძიების ეტაპი. ჯამში, შემოწმებული ორგანიზაციების რაოდენობამ შეადგინა 71. საძიებო ღონისძიებები ჩატარდა როგორც ქ. თბილისის, ისე, რეგიონების მასშტაბით.

71 ობიექტის ტერიტორიაზე განხორციელებული ფიზიკური ძიების ღონისძიების შედეგად, ნაპოვნი იქნა რადიოაქტიური წყაროები, ბირთვული მასალა, რადიოაქტიური ნივთიერების

შემცველი სხვადასხვა ნაკეთობა, რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი საბჭოური წარმოშობის კვამლის დეტექტორები და რადიოაქტიური ნივთიერებით დაბინძურებული 3-ლაქა.

რადიოაქტიური წყარო აღმოჩენილი იქნა შემდეგ ობიექტზე:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამალაშვილის სახელობის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი - 1 ერთეული ტყვიის კონტეინერი, სადაც განთავსებულია 1 ერთეული რადიოაქტიური წყარო Cs¹³⁷.



ბირთვული მასალა ნაპოვნი იქნა შემდეგ ობიექტზე:

2. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ობიექტზე ჩატარებული სამიეზო ღონისძიების შედეგად, უნივერსიტეტის ნულოვანი სართულის ერთ-ერთ ოთახში, რომელსაც იყენებდნენ საწყობად, აღმოჩენილი იქნა 1 ერთეული მინის სინჯარა, რომელშიც განთავსებული იყო ბირთვული მასალის (ბუნებრივი ურანი) ფრაგმენტები.



რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი სხვადასხვა ნაკეთობა აღმოჩენილი იქნა შემდეგ ობიექტებზე:

3. ქ. ბათუმი (ჯართის მიმღები პუნქტი) - საბჭოური წარმოების რადიაციის საზომი ხელსაწყო (ДП-5Б), რომელიც შეიცავს საკალიბრო რადიოაქტიურ წყაროს - 1 ერთეული.
4. სადემილიტარიზაციო ბაზა სსტც „დელტა“ - რადიოაქტიური წყაროს შემცველი ნაკეთობები: კოლიმატორი 19 ერთეული, კომპასი 2 ერთეული, ციფერბლათიანი ხელსაწყო 7 ერთეული.
5. სამოქალაქო თავდაცვის ბუნკერი (ცოტნე დადიანის 32) - საბჭოური წარმოების რადიაციის საზომი ხელსაწყო (ДП-5Б), რომელიც შეიცავს საკალიბრო რადიოაქტიურ წყაროს - 1 ერთეული.
6. სს „ქუთაისის საავიაციო ტექნიკური ქარხანა“ - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 54 ერთეული განმუხტველი P-22.
7. ქ. რუსთავი - შპს გილდია (ჯართის მიმღები პუნქტი) - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 1 ერთეული მანომეტრი.
8. ქ. თბილისი - ი/მ თამაზ გავაშელიძე (ჯართის მიმღები პუნქტი) - საბჭოური წარმოების რადიაციის საზომი ხელსაწყო (ДП-5Б), რომელიც შეიცავს საკალიბრო რადიოაქტიურ წყაროს - 1 ერთეული.



რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი საბჭოური წარმოშობის კვამლის დეტექტორები აღმოჩენილი იქნა შემდეგ ობიექტებზე:

9. საქართველოს ყოფილი გაერთიანებული საერთაშორისო ბაზის ტერიტორია - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 44 ერთეული კვამლის დეტექტორი.
10. შპს „გრაალი 92“ - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 17 ერთეული კვამლის დეტექტორი.
11. თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 61 ერთეული კვამლის დეტექტორი.

12. სს „რუსთავის აზოტი“ - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 41 ერთეული კვამლის დეტექტორი.
13. საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნება - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 1 ერთეული კვამლის დეტექტორი.
14. ყოფილი ელექტროიზოლიტების ქარხნის შენობა - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 2 ერთეული კვამლის დეტექტორი.
15. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 52 ერთეული კვამლის დეტექტორი.
16. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 30 ერთეული კვამლის დეტექტორი.
17. ეროვნული არქივი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 27 ერთეული კვამლის დეტექტორი.
18. ყოფილი თამბაქოს ქარხანა (წინამძღვრიშვილის ქ. N125) - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 29 ერთეული კვამლის დეტექტორი.
19. სსიპ თსუ მიხეილ ნოდias სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 5 ერთეული კვამლის დეტექტორი.
20. ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 28 ერთეული კვამლის დეტექტორი.
21. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 1 ერთეული კვამლის დეტექტორი.
22. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 12 ერთეული კვამლის დეტექტორი.
22. შპს სატრანსპორტო კომპანია - რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი 200 ერთეული კვამლის დეტექტორი.



რადიოაქტიური ნივთიერებით დაბინძურებული ტერიტორია აღმოჩენილი იქნა შემდეგ ობიექტზე:

23. შპს „ამბიკონ სტილს“ – (ქ. ქუთაისი - ტარას შვეჩენკოს ქუჩა, N 20). აღნიშნული მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიის რადიოლოგიური მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი იქნა რადიოაქტიური ნივთიერებით (Cs^{137}) დაბინძურებული 3 ლაქა.



საერთო ჯამში, ძეზნის ოპერაციების შედეგად, ამოღებული და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში გადატანილი იქნა:

-)] 1 ერთეული Cs^{137} -ის შემცველი რადიოაქტიური წყარო;
-)] 1 ერთეული მინის სინჯარა, რომელშიც განთავსებული იყო ბირთვული მასალა (ბუნებრივი ურანი).
-)] 86 ერთეული რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი ნაკეთობა (Sr^{90} , Ra^{226});
-)] 550 ერთეული რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი საბჭოთა წარმოშობის კვამლის დეტექტორი.

ჯამში: 638 ერთეული.

საძიებო ღონისძიების ფარგლებში, აღმოჩენილი რადიოაქტიური წყაროები, ბირთვული მასალა, რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი სხვადასხვა ნაკეთობა, რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი საბჭოთა წარმოშობის კვამლის დეტექტორები უსაფრთხო შენახვის მიზნით გადატანილი იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში და დაექვემდებარა მარეგულირებელ კონტროლს.

სააგენტოს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტმა განახორციელა აქტივობები რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პროექტის (GEO/9/015) ფარგლებში, განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა ავზების კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდა დეტალური ანგარიში. ანგარიშის ანალიზის საფუძველზე, ექსპერტების რეკომენდაციით გადაწყდა, რომ ავზების სრული დემონტაჟი პრაქტიკული მოსაზრებებით არასასურველია. მიღებული იქნა გადაწყვეტილება ავზების უსაფრთხოების ზომების გაზრდის შესახებ, რათა სამომავლოდ, აღნიშნული მოცულობები, იქნეს გამოყენებული კონტამინირებული ნიადაგის შესანახად.

რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის პროცესისათვის მნიშვნელოვანია ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. შესაბამისად, განხორციელდა რიგი ღონისძიებები რადიოაქტიური ნარჩენების საცავის მიმდებარე ტერიტორიაზე შენობის მოსაწყობად, სადაც შესაძლებელი იქნება რადიოაქტიური ნარჩენებისა და სხვა რადიოაქტიური მასალების კვლევები. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს დახმარებით, სააგენტოს გადმოეცა მაღალი სისუფთავის გერმანიუმის სპექტრომეტრი, რომელიც გამოყენებული იქნება ლაბორატორიული კვლევებისთვის.



საანგარიშო პერიოდში, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე მოეწყო მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა, სადაც უნდა განთავსდეს რადიოაქტიური ნარჩენების კასრების მაკომპრესირებელი და ნარჩენების დამახარისხებელი მოწყობილობები.



შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს (SSM) მხარდაჭერით, განხორციელდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა კვლევების ყოფილი ინსტიტუტის რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგის დროებითი შესანახების რადიოლოგიური შეფასება, ასევე, კონტამინირებული ტერიტორიის რემედიაციის შემდგომი ეტაპი. კერძოდ, განხორციელდა ერთი მიწისქვეშა შესანახის დოკუმისია. სააგენტოს სპეციალისტებმა მოჭრეს რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგი და უსაფრთხოების ზომების დაცვით, განხორციელეს ტრანსპორტირება და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსება.



მიმდინარე წელს, ასევე, განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე განთავსებული ორი რადიაციულად დაბინძურებული ავტომანქანის დეკონტამინაცია.



ბირთვული მასალების კონტროლი

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა ბირთვული მასალების მფლობელი 6 ორგანიზაციის ინსპექტირება. ბირთვული მასალების აღრიცხვიანობაში დარღვევები არ გამოვლენილა.

„ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის და მისი დამატებითი ოქმის შესაბამისი ანგარიშები წარდგენილია ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოში დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად.

დარიშხანის შემცველი ნარჩენების სისტემური მართვა

2022 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო განისაზღვრა დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემური მართვის, მოვლა-პატრონობის, ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების განმახორციელებელ ორგანოდ. შესაბამისად, შევიდა ცვლილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 24 დეკემბრის N237 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს დებულებაში.



სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნა წინა წლებში განხორციელებული შეფასებები და ადგილზე არსებული ვითარება. ცანა 1, ცანა 3 და ურავი 1 ტერიტორიები გადმოეცა (მოსარგებლედ დარეგისტრირდა) სააგენტოს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, განისაზღვრა პრიორიტეტები უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად, დაიგეგმა პირველადი ღონისძიებების განხორციელება, რაც გულისხმობდა ცანა 1, ცანა 3 და ურავი 1 ტერიტორიების ლოკალიზებას.




შემუშავდა სატენდერო დოკუმენტაცია აღნიშნული ლოკაციების შემოღობვის ღონისძიებების ჩასატარებლად. კერძოდ, შემუშავდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტი - ცანა 1, ცანა 3 და ურავი 1 შემოსაღობად.

საფრთხის შემცველი ტერიტორიების შემოსაღობად, ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.

ბატონის ღობის კვანძი



1:50



- 30 ივნისის სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი;
- სამუშაოები დაიწყო ივლისის თვეში.

სამუშაოები მიმდინარეობდა სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან მუდმივი მონიტორინგის რეჟიმში.





2023 წლის ოქტომბერში, დასრულდა დარიშხანის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული სამი ლოკაციის, კერძოდ, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცანა 1, ცანა 3 და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ურავი 1 შემოღობვა, შესაბამისად გაიზარდა უსაფრთხოების ზომები მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნით. შემოღობილი ტერიტორიების კარებზე და ღობეზე განთავსებულია შესაბამისი საფრთხის ნიშნები.



ცანა 1



ცანა 3




ურავი 1

შემოღობვის დასრულების შემდეგ, ცანა 1 და ცანა 3 მიმდებარე ტერიტორიაზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამის დანაყოფთან ერთად, განხორციელდა ღობის გარეთ დარჩენილი დარიშხანის შემცველი კასრების შეგროვება და დაცულ ტერიტორიაზე განთავსება.



ზემოთ აღწერილი სამუშაოების გარდა, სააგენტომ პარალელურად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

-) ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოსაწყობად განისაზღვრა ცანა 3 ტერიტორია (ცანა 3 ყველაზე მეტად დაშორებულია საცხოვრებელი პუნქტიდან);
-) შემუშავდა დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის პროექტი;
-) შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად დოკუმენტაცია და წარედგინა შესაბამის სააგენტოს ნებართვის მისაღებად;
-) დოკუმენტაცია მომზადდა მშენებლობის ნებართვის მისაღებად (I ფაზა).



ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტების მიერ, ადამიანისა და გარემოს რადიაციისგან დაცვის მიზნით, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მათ მიერ მიღებული დასხივების დოზები არ აღემატება დადგენილ მაჩვენებლებს.